

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ 2018 წლის ანგარიში

ადმინისტრაციული სამსახური

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულია 120 საჯარო მოხელე;

ვაკანტური ადგილების რაოდენობაა -14;

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიას დაქვემდებარებულ ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში დასაქმებულია 378 თანამშრომელი;

11 თანამშრომელზე გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

- ვიზირებულია 1020 სამართლებრივი აქტი,მათ შორის:
 - 66 ბრძანება თანამშრომლების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ;
 - 18 ბრძანება თანამშრომლების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;
 - 3 ბრძანება საჯარო მოხელის დისციპლინური შენიშვნის შესახებ;
 - 13 ბრძანება მოხელეების თანამდებობაზე დანიშნულების თაობაზე;
 - 1 ბრძანება მოხელის თანამდებობიდან ჩამოქვეითების შესახებ;
 - 3 ბრძანება მოხელის თანამდებობის შეცვლის შესახებ;
 - 1 ბრძანება საჯარო მოხელის დეკრეტული შვებულების შესახებ;
 - 9 ბრძანება მოხელესთან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
 - 230 ბრძანება თანამშრომელთა მივლინების შესახებ;
 - 132 ბრძანება მოხელის კუთვნილ შვებულებაზე გასვლის შესახებ;
 - 131-მა საჯარო მოხელემ განვლო შეფასების პირველი ტური, ასევე საბოლოო შეფასება გაიარა 131-მა მოხელემ , რომელიც ჩატარდა დეკემბრის თვეში.
 - 225 ცნობა სხვადასხვა საკითხებზე მომზადდა და გადაეცა მოსახლეობას, მათი მოთხოვნის შესაბამისად (ოჯახის შემადგენლობა, ადგილმდებარეობა, ელექტრო ენერჯის აბონენტის შეცვლასთან დაკავშირებით, გაზის აბონენტის შეცვლასთან დაკავშირებით და სხვა).
 - დაიგეგმა და ორგანიზება გაენია სხვადასხვა ტრენინგების ჩატარებას (საჯარო მოხელეების შეფასებასთან დაკავშირებით, გენდერული თანასწორობის შესახებ, ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და სხვა).
 - ორგანიზება გაენია მერის შეხვედრებს მოსახლეობასთან და მათი პრობლემების განხილვას.
 - 2019 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად მომზადდა შესასყიდი ინვენტარის სია.
 - მომზადდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, მათ შორის: - 6 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა და 70 წელზე ზემოთ მოსახლეობის რაოდენობა. მომზადდა კერძო საკუთრებაში და სახელმწიფო სექტორში არსებული ტექნიკის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, ტექნიკის სახეობების მიხედვით.
 - მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე Akhalkalaki.ge და Facebook-ის („ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია „) გვერდზე პერიოდულად შექდება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული საქმიანობა(მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტი და დამტკიცებული ბიუჯეტი, ინფრასტრუქტურული პროექტები, სამშენებლო სარეაბილიტაციო და სხვა სამუშაოები, კულტურული ღონისძიებები, შეხვედრები, ტრენინგები, სიახლეები, მერიის ანგარიში ამომრჩევლის წინაშე და სხვა).
- ადმინისტრაციული სამსახური ახორციელებს ასევე ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, პირის ცხოვრების(ყოფნის) ნამდვილობის ფაქტის დამდგენი კომისიის საქმიანობას. ამ კომისიის მიერ მიღებულია 28 საქმე, აქედან 19 საქმე დაკმაყოფილდა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი და საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პაკეტის მუხლები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავედროულად მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა ფინანსური დახმარების უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის შესაბამისად 12 თვეში განახორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. 9 მაისის გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების დახმარება ქვეპროგრამისათვის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხიდან (6 000 ლარი) გაცემულია მთლიანად:

ფინანსური დახმარება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს:

$$8 \times 750 = 6000 \text{ (ლარი)}$$

2. 9 მაისს გაიმართა ღონისძიება ვეტერანებისათვის(ყვავილები, გვირგვინები) : სულ გათვალისწინებული 500 ლარი გაცემულია მთლიანად.
3. ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული განცხადებების თანახმად ფინანსური დახმარება გაიცა 627 ბენეფიციარზე სულ 180 950 ლარის ოდენობით
- 4.ახალშობილებზე ფინანსური დახმარების ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული 160 000 ლარი, გაცემულია 160 000. დახმარება გაიცა 640 ახალშობილზე.
5. სასწრაფო შემთხვევების ოპერაციების და მკურნალობის ხარჯის დასაფარად ფინანსური დახმარებები გაიცა 162 მოქალაქეზე. გაცემულია 124 000 ლარი.
6. ფინანსური დახმარებები სოციალურად დაუცველ ოჯახებზე საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად 2019 წლის 12 თვეში გაიცა 34 ოჯახზე.გაცემულია 28 600.
7. სოციალურად დაუცველი, შშმ, ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახებიდან ბავშვების სწავლებისათვის გათვალისწინებული 50 000 ლარიდან ათვისებულია 37 586 ლარი. დახმარება გაიცა 46 ბენეფიციარზე.
8. ომის მონაწილეთა და უსახლკარო პირთა დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად გათვალისწინებული 8 000 ლარიდან გაცემულია 5297.5ლარი :
9. ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად დახმარებები გაიცა 45 ადამიანზე. გათვალისწინებული 59 000 ლარი, გაცემულია 30 600 ლარი.

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მონყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური

2018 წლის განმავლობაში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებულ იქნა საგზაო ინფრასტრუქტურის მონყობა-რეაბილიტაცია, სასმელი წყლის, საკანალიზაციო და სარწყავი წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია,

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, საბავშვო ბაღებისათვის ახალი შენობების მშენებლობა, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობების აღგენა-რეაბილიტაცია, ქ. ახალქალაქში და ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა, სტიქიისგან მიყენებული ზარალის აღმოფხვრა, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა.

• საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა- შენახვა

2018 წლის განმავლობაში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოასფალტებულ და რეაბილიტირებულ იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი გზები და ქუჩები:

• რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და ადგილობრივი ბიუჯეტი (თანადაფინანსება)

1. ქ. ახალქალაქში ქუჩების რეაბილიტაცია (რუსთაველის ჩიხი-64მ; დარბინიანის ქუჩა - 323მ, უნივერსიტეტამდე მისასვლელი გზა-584მ, აღმაშენებლის მე-3 შესახვევი-350მ)- 791518 ლარი (დასრულებულია);
2. სოფ. არაგვას სათხილამურო ბაზიდან სოფ. გომანამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (2393 მ) - 1029290 ლარი(დასრულებულია);
3. ყოფილი მე-15 სამხედრო ქალაქის მრავალბინიანი სახლების ეზოების მოასფალტება (4187 კვ.მ) და სოფ.ვაჩიანის საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის და საცაღვეხო ბილიკის მოასფალტება (633 მ გზა, 496 მ ტროტუარი) - 547193 ლარი (მიმდინარეობს, გადავადებულია 2019 წლისთვის).

• ადგილობრივი ბიუჯეტი

1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გზების თოვლისგან განმწმუნა - 80001 ლარი (დასრულებულია)
2. ქ. ახალქალაქის ქუჩების რეაბილიტაცია (აშულ ჰავასის ქუჩიდან თელმანის ქუჩამდე 134 მ; თელმანის ქუჩიდან მიქოიანის ქუჩამდე 95 მ; მიქოიანის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე 105 მ; ნაზარეთიანის ქუჩის გაგრძელება უკმერსკის ქუჩამდე მოასფალტება 84 მ; მარქარიანის ქუჩიდან ნაზარეთიანის ქუჩამდე 176 მ; მალხასიანის II შესახვევი 172მ) - 412693 ლარი (დასრულებულია).
3. ქ. ახალქალაქის სასოფლო გზების მოხრეშვა(სიგრძით 86კმ) - 104942 ლარი (დასრულებულია)
4. ქ. ახალქალაქის ქუჩების დაზიანებული ა/ბეტონის საფარის შეკეთება - 300000 ლარი (მიმდინარეობს).
5. ქ. ახალქალაქის სასაფლაოს მისასვლელი გზის მოასფალტება(1124 მ) -403804 ლარი (დასრულებულია)
6. სოფ. ბარალეთი - იხტილა გზის მოასფალტება(2056მ) - 954060 ლარი(დასრულებულია).
7. სოფ. ხანდოდან ახალციხე-ახალქალაქი გზამდე გზის რეაბილიტაცია(4200 მ) - 34195 ლარი(დასრულებულია).
8. სოფ. ბარალეთი - სოფ. კოჩიო გზის მოასფალტება(3260 მ)- 975000 ლარი (დასრულებულია).

• სასმელი წყლის, საკანალიზაციო და სარწყავი წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია

2018 წლის განმავლობაში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემის გაუმჯობესებისათვის განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოები:

• რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და ადგილობრივი ბიუჯეტი (თანადაფინანსება)

1. სოფ. ტურცხის და სოფ. ლომატურცხის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია(2520 მ) - 121271 ლარი(დასრულებულია).

• **ადგილობრივი ბიუჯეტი**

1. ქ. ახალქალაქის საკანალიზაციო ჭების რეაბილიტაცია(13 ც) - 13142 ლარი(დასრულებულია)
2. გრუნტის გატანის სამუშაოები (სოფ. დადეშში არსებული წყალსაცავის რეაბილიტაცია- 30მ) - 7787 ლარი (დასრულებულია)
3. წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები(ქ.ახალქალაქის წმ. ნინოს ქუჩაზე ახალი წყალსადენის გაყვანა, სოფ. აფნიის საჯარო სკოლის სასმელი წყლის წყალსადენის მოწყობა, სოფ. დადეშში სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია, სოფ. ბუბავეთში სასმელი წყლის წყალსადენის რემონტის დასრულება, სოფ. ბავრის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია., სოფ. აბულის სასმელი წყლის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია, სოფ. იხტილაში და სოფ. მერენიაში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილ.) - 64524 ლარი (დასრულებულია).
4. 6 სოფელში სარწყავი წყლისა და პირუტყვისათვის სასმელი წყლის წყალსაცავების განმენდა(გოკიოში 7,470მ³, დადეშში 1320მ³, ერინჯაში 580მ³, ოლავერდში 5000მ³, სულდაში 820მ³ და ჩამძვრალაში 5000მ³) - 49109 ლარი (დასრულებულია)
5. დიდი სამსარის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია(2200 მ) - 60442 ლარი(დასრულებულია).
6. სოფ. აზმანის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია(2137 მ)- 117777ლარი (დასრულებულია).
7. სოფ. ვაჩიანის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია(მ) - 14159 ლარი (დასრულებულია)
8. სოფ. ოკამში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია(120 მ) - 17193 ლარი (დასრულებულია).
9. დახურული საცურაო აუზის კომპლექსის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია(55მ) - 2949 ლარი (დასრულებულია).

• **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, საბავშვო ბაღებისათვის ახალი შენობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობების აღგენა-რეაბილიტაცია**

ქ. ახალქალაქში და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა და განხორციელდება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობების აღგენა-რეაბილიტაცია, რიტუალების სახლების, სოფლის კლუბების რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღებისათვის ახალი შენობების მშენებლობა და არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ტერიტორიების კეთილმოწყობა, ფანჩატურების მშენებლობა და მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, კერძოდ:

• **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და ადგილობრივი ბიუჯეტი (თანადაფინანსება)**

1. სოფ. აბავრეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 78466 ლარი(დასრულებულია)
2. ბარალეთში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 50576 ლარი(დასრულებულია)
3. სოფ. ბურნაშეთის რიტუალების სახლის რეაბილიტაცია - 79804 ლარი(დასრულებულია)
4. სოფ. სულდის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია - 78154 ლარი(დასრულებულია)
5. ვარევანის კლუბის რეაბილიტაცია - 61408 ლარი(დასრულებულია)

• **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი**

1. სოფ. ჩუნჩხაში საბავშვო ბაღის მშენებლობა - 246800 ლარი (მიმდინარეობს, გადავადებულია 2019 წლისთვის)

• **ადგილობრივი ბიუჯეტი**

1. ქ. ახალქალაქის მომავლის სახლისა და სპორტული სკოლის შენობის რეაბილიტაცია - 15458 ლარი (დასრულებულია)
2. ქ. ახალქალაქში ე.წ. „ტაშვანკის“ ტერიტორიაზე ფანჩატურების მოწყობა - 32745 ლარი (დასრულებულია)
3. სოფ. კარნახის რიტუალების სახლის რეაბილიტაცია - 3813 ლარი (დასრულებულია)
4. სოფ. კულიკამში საბავშვო ბაღის მშენებლობა - 170186 ლარი (მიმდინარეობს, გადავადებულია 2019 წლისთვის)
5. ხულგუმოს საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია - 2677 ლარი (დასრულებულია)
6. ქ. ახალქალაქის სოფ. კარნახის საბავშვო ბაღის გათბობის სისტემის საქვების მონტაჟი - 13098 ლარი (დასრულებულია)
7. ქ. ახალქალაქის ცენტრალურ პარკში ატრაქციონის რეაბილიტაცია - 4490 ლარი (დასრულებულია)
8. ქ. ახალქალაქში ნალბანდიანის ქ. #74-ში მდებარე სახლის ფასადური კედლის (ღობის) რეკონსტრუქცია - 2454 ლარი (დასრულებულია)
9. სოფ. კარტიკამის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 9642 ლარი (დასრულებულია)
10. ქ. ახალქალაქის მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია - 83647 ლარი (დასრულებულია)

• გარე განათების მოწყობა

ქ. ახალქალაქის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე მოწყობილია 752 გარე განათების ანძა საერთო ღირებულებით 309800 ლარი. პროექტი დასრულებულია.

• სტიქიისგან მიყენებული ზარალის აღმოფხვრა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიების (ძლიერი ქარი) შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის განხორციელებულ იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტები:

• ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან

1. სოფ. ჩუნჩხის რიტუალების სახლის სახურავის რეაბილიტაცია (350მ²)- 66802 ლარი (დასრულებულია)
2. სოფ. ბურნაშეთის კლუბის შენობის სახურავის რეაბილიტაცია (380მ²) - 16090 ლარი (დასრულებულია)
3. სოფ. გომანის რიტუალების სახლის სახურავის რემონტი (80მ²), ქ. ახალქალაქის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის შენობის სახურავის რეაბილიტაცია (55 გრძ.მ), 1-ლი ყოფილი ს/ქ N 446 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია(136 მ²)- 6843 ლარი (დასრულებულია)
4. სოფ. არაგვის რიტუალების სახლის სახურავის რეაბილიტაცია (84მ²) - 2133 ლარი (დასრულებულია).

აღსანიშნავია, რომ სტიქიამ(ძლიერმა ქარმა) დიდი ზიანი მიაყენა ასევე ქ. ახალქალაქისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლების მაცხოვრებლებს, რისთვისაც დაზარალებულ მოსახლებას გადაეცა ფულადი დახმარება, მიყენებული ზიანის რაოდენობის შესაბამისად.

• საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოების შესრულების დაფინანსება

1. სოფ. ბარალეთი -იხტილა და სოფ. ბარალეთი -კოჩიო გზის მოასფალტების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 18888 ლარი;
2. სასაფლაოზე მისასვლელი გზის; ქ. ახალქალაქი აღმაშენებლის ქ. N34, N36 მრავალბინიანი სახლების ეზოების; ქ.ახალქალაქში ყოფილი მე-15 სამხედრო ქალაქის მრავალბინიანი სახლების ეზოების; სოფ. ვაჩიანის საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის და საცალფეხო გზის; ქ.

ახალქალაქის მასივ ჯივანის III შესახვევის; ხიდიდან 1-ლი ყოფილი სამხედრო ქალაქამდე საცალფეხო გზის; სოფ. ალასტანის სკოლისკენ მისასვლელი საცალფეხო ხიდის; სოფ. გოკიოს სკოლისკენ მისასვლელი საცალფეხო ხიდის; ქ. ახალქალაქი თბილისის I შესახვევის; ქ.ახალქალაქი თბილისის II და III შესახვევის ტროტუარის მოასფალტების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 18782 ლარი;

3. ქ. ახალქალაქი აღმაშენებლის ქუჩაზე შემოვლითი გზიდან სოფ. ხოსპიომდე გარე განათების მოწყობის, ქ.ახალქალაქი ე.წ. „ტაშვანკის“ ტერიტორიაზე ფანჩატურების მოწყობის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის შენობის რემონტის, ქ.ახალქალაქში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის, ქ.ახალქალაქში ქუჩაში საათის და თერმომეტრის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 7515 ლარი.
4. 6 სოფელში სარწყავი წყლისა და პირუტყვისათვის სასმელი წყლის წყალსაცავების განმენდის, სოფლებში სარწყავი წყლის არხების მოწყობა-განმენდის, სოფ. აზმანისა და დიდი სამსარის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაციის და სოფ. ბოზალის საჯარო სკოლის სასმელი წყლის წყალსადენის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 5748 ლარი.
5. 9 აპრილის მემორიალის მოწყობის, სოფ. კარნახის საბავშვო ბაღის გათბობის სისტემის საქვების მონტაჟის, სოფ. ტრკნაში სასმელი წყლის ახალი წყალსადენის გაყვანის 3000 მ, ჰავასის ქუჩის საკანალიზაციო ხაზის რეაბილიტაციის, სოფ. ოკამში პირუტყვისათვის სასმელი წყლის ახალი წყალსადენი ხაზის გაყვანის 800მ, 6. სოფ. ხულგუმოს საბავშვო ბაღის შენახვის ოთახის რეაბილიტაციის(სახურავი და იატაკი), სოფ. ვაჩიანის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 2470 ლარი.
6. ქ. ახალქალაქის ცენტრალურ პარკში ახალი ორადგილიანი საქანელის დაყენების (რბილი საფარის მოწყობით) და არსებული საბავშვო ატრაქციონის რეაბილიტაციის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. კარტიკამის საბავშვო ბაღის რემონტის, ქ. ახალქალაქის დახურული საცურაო აუზის კომპლექსის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის (45 მ), ქ. ახალქალაქში ქუჩების დახაზვის სამუშაოები და საგზაო ნიშნების(N 3.1 - 5ც; N 3.27- 4ც; N 3.18.1 - 3 ც; N 3.18.2 - 3ც; N2.4 - 2ც) დაყენების, ქ.ახალქალაქში 3 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების(მე-14 ყოფილი სამხედრო ქალაქი N 1; 1-ლი ყოფილი სამხედრო ქალაქი N 373; დ. აღმაშენებლის ქ. N 1) სახურავების რეაბილიტაციის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა- 2690 ლარი.
7. სოფელ კარნახის საჯარო სკოლაში სასმელი წყლის გაყვანის, სოფელ ბოზალის საჯარო სკოლაში სასმელი წყლის გაყვანის, სოფ. იხტილის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციის, სოფ. ჩამდურაში სპორტული მოედნის რემონტის, სოფ. გოკიოში სასმელი წყლის წყალსადენის აღდგენის, სოფ. ხულგუმოში ხიდის საყრდენის აღდგენის, სოფ. არაგვას სათხილამურო ბაზის ფასადის რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობის, სოფ. ვარევანი, ალასტანი, გოკიო გზაზე არსებული ხიდის რეაბილიტაციის, სოფ. ოლავერდის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის, სოფ. მერენიაში მიმავალი გზის მარცხენა არხის განმენდის, ასფალტის ხელოვნური ბარიერების მოწყობის ქ. ახალქალაქში 1-ლი სამხედრო ქალაქი- 2 ცალი ბარიერების ნიშანი -4 ცალი, წერეთლისა და თუმანიანის გადაკვეთა -1 ცალი ბარიერის ნიშანი 2 ცალი, მაშტოცის ქუჩაზე - 2 ცალი ბარიერის ნიშანი - 4 ცალი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ბარალეთის საბავშვო ბაღთან სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები 2 ცალი ბარიერების ნიშანი - 4 ცალი, ქ. ახალქალაქში 1-ლი სამხედრო ქალაქში გამაფრთხილებელი ნიშანი „გაჩერება აკრძალულია“ - 2 ცალი საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 1085 ლარი.

2018 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ დამუშავებულია და გაცემულია 36 ნებართვა კერძო და კომერციული დანიშნულების შენობების ასაშენებლად, ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 39 შენობა- ნაგებობა. ასევე 2018 წლის განმავლობაში გაცემულია თანხმობა სხვადასხვა ხაზობრივი და კავშირგაბმულობის ხაზების გაყვანისათვის.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური

2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე ეკონომიკის სამსახურში შემოვიდა 2450 (ორი ათას ოთხას ორმოცდაათი) წერილი. აქედან 1492 (ათას ოთხას ოთხმოცდათორმეტი) - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იდენტიფიკაციის დადგენასთან იყო დაკავშირებული, ხოლო დანარჩენი 1050 (ათას ორმოცდაათი) წერილი სხვადასხვა შინაარსის (ხის მოჭრასთან, ეკონომიკურ დაგეგმვასთან, გზების რეაბილიტაციასთან, ნაგვის გატანასთან, ბინების პრივატიზებასთან, საძოვრებთან, მეზობელთა შორის არსებულ სადავო საკითხთან და ა. შ.).

მიწის ნაკვეთების იდენტიფიკაციის დადგენასთან დაკავშირებული 1319 წერილზე დადგენილ იქნა იდენტიფიკაცია, 17 წერილზე გაცემულია პასუხი სანოტარო შუამდგომლობით, 36 წერილი საბუთების სრულყოფილობის არარსებობის, მესაკუთრის გამოუცხადებლობის ან უთანხმოების გამო იყო შეწყვეტილი, 120 წერილი ჩაბარებულია მერიის წარმომადგენლებთან და სპეციალისტებთან და მიმდინარე პროცესშია სხვადასხვა მიზეზების გამო.

მომზადებული და გაგზავნილია სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში 16 (თექვსმეტი) წერილი სახელმწიფო ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთებისა და შენობა - ნაგებობების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემულია 13 მიწის ნაკვეთი შენობა - ნაგებობებით.

170 (ას სამოცდაათი) წერილი ეხებოდა დაგეგმარებას, გზის რეაბილიტაციას, ნაგვის გატანას, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას, ქუჩების გარე განათებას და ა. შ. აქედან თითქმის უმეტესი ნაწილი დაკმაყოფილდა. ზოგიერთი განცხადებები დაგეგმვასთან დაკავშირებით, მუნიციპალურ ბიუჯეტში შესაბამისი თანხის არარსებობის გამო, აყვანილია აღრიცხვაზე შემდგომში დაგეგმარების მიზნით. ეკონომიკური დაგეგმარება მოხდა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის, ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯებით მისაღები შედეგების თაობაზე. დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ იქნა მოსახლეობის, სოფლის წარმომადგენლების და სპეციალისტების განცხადებები.

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ყველა თანამშრომელი აქტიურად ესწრებოდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებს, ასევე ეკონომიკის კუთხით დაგეგმილ ტრენინგებს. საკრებულოში წარდგენილია 6 (ექვსი) დადგენილების პროექტი. ასევე სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ახალქალაქში არსებული უსახური შენობებისა და ჯიხურების გატანის სამუშაოებზე. გატანილ იქნა დაახლოებით 60 უსახური ჯიხური და ვაკონი.

2018 წელს გამოცხადებულ იქნა 5 (ხუთი) აუქციონი ახალქალაქის საზაფხულო საძოვრების იჯარით გაცემის შესახებ და რისთვისაც მომზადდა ყველა შესაბამისი დოკუმენტი აუქციონის გაოსაცხადებლად. ხუთი აუქციონიდან ორ აუქციონზე გამოვლინდა გამარჯვებული, ხოლო სამ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული რის გამოც, მოხდა პირდაპირი წესით იჯარის პირობით გადაცემა. გაფორმდა ხელშეკრულებები 1(ერთი) წლის ვადით. აღნიშნული მიმართულებით აქტიური სამუშაოები ჩატარდა დაცული ტერიტორიის სააგენტოსთან, ქცია - ტაბანყურისა და ეგრეთწოდებული გვექტალის საზაფხულო საძოვრების პოტენციურ მოიჯარეებზე საძოვრების გადაცემის შესახებ. 2018 წელს საძოვრებიდან მიღებული შემოსავალი 141. 000 (ას ორმოცდაერთი ათასი) ლარი ჩაირიცხა მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი 53 000(ორმოცდაცამეტი ათასი) ლარი არ ჩაირიცხულა.

წიალის ეროვნული სააგენტოდან მივიღეთ 32 წერილი. წერილების განხილვაში, ჩართულნი იყვნენ როგორც ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის თანამშრომლები, ასევე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, თუ რომელ ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა წიალის მოპოვების მიზნით მოთხოვნილი ტერიტორია. აქედან დაკმაყოფილდა - 28 წერილი, ხოლო 4 წერილზე სოფლის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე გაცემულია უარყოფითი პასუხი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სოფლების მიხედვით გამოეყო და გაეცა დაახლოებით 1500-2500კუბ.მ. საწვავი შეშა. აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული განცხადებები იგზავნებოდა სამცხე - ჯავახეთის სატყეო სამსახურში, მოთხოვნილი საწვავი შეშის მოცულობის დაკმაყოფილების თაობაზე. საწვავი შეშის დაკმაყოფილების შესახებ სამცხე - ჯავახეთის სატყეო სამსახურთან შუამდგომლობა გაენია საკლუბო გაერთიანებას, საბიბლიოთეკო და ასევე საბავშვო ბაღების გაერთიანებას. რომელიც დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნილებისამებრ.

მივიღეთ ხის მოჭრასთან დაკავშირებული წერილები. ხდებოდა საქმის ადგილზე შესწავლა, დათვალიერება და აქტის შედგენა, რის საფუძველზეც გაიცემოდა ნებართვა ხის მოჭრასთან დაკავშირებით, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

სასოფლო და არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ შემოსული სადაო განცხადებების განხილვა და საქმის შესწავლა ხდებოდა ადგილზე დათვალიერებით. რომლებზეც ვახდენდით დროულ რეაგირებას.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება-გატანის ეფექტური წარმართვისა და გარემოს დაცვის კუთხით, მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მიხედვით მოთხოვნა გაკეთდა ნაგვის ურნებზე, ნაგვის გამტან და შემგროვებელ სპეც. ავტომობილებზე.

აგრეთვე მიღებულია მოქალაქეთა 17 განცხადება არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართების კანონიერი მოსარგებლისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. მოხდა მათი განხილვა, ადგილზე დათვალიერება და შესაბამისად დაკმაყოფილდა განმცხადებლების მოთხოვნა.

შესყიდვების სამსახური

შესყიდვების სამსახური შედგება 4 თანამშრომლისგან (სამსახურის უფროსის, განყოფილების ხელმძღვანელისა და 2 სპეციალისტისგან). სამსახურის მთავარი მიმართულება არის დადგენილი წესით სამუშაოების შესრულება, საკრებულოს მიერ დამტკიცებული (2015 წლის 22 ივლისი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსი“) ადგილობრივი შესყიდვების გეგმის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციების საკონსულტაციო მომსახურება, შესყიდვების ყველა ტიპის პროცედურის განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივ თვითმმართველობასთან, ადგილობრივი შესყიდვების განხორციელებისას ხელშეკრულების პროექტების მომზადება; სწორი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა შესყიდვაში მონაწილეთა მიმართ, შესყიდვების პროცედურების კონკურენციისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბძანებებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, შესყიდვების ორგანიზების პროცედურებისა და დოკუმენტაციის მომზადება, წლიური გეგმის მომზადება დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმის თანახმად, შესყიდვების მომზადება და განხორციელება. საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ თანახმად, წერილების, ანგარიშების, ხელშეკრულებების, ინფორმაციისა და სხვა მასალების მომზადება და ამასთანავე, სააგენტოში წარდგენა.

2018 წელს, შესყიდვების სამსახურის მიერ, განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

1. მომზადდა 2018 წლის შესყიდვების გეგმის პროექტი (სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან). 2018 წლის განმავლობაში შესყიდვების გეგმა დაკორექტირდა 24-ჯერ.
2. 2018 წლიდან დღემდე, შესყიდვების სამსახურის მიერ ჩატარებულია 78 ელექტრონული ტენდერი, აქედან 13 ტენდერი არ შედგა, 5 ტენდერი შეწყდა და 2 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით ტენდერებში მონაწილეობდა 1-7 პრეტენდენტი.
3. 2018 წელს შესყიდვების სამსახურის მიერ, „გამარტივებული შესყიდვის“, „კონსოლიდირებული და ელექტრონული ტენდერის“ მეთოდით, შედგენილია 148 ხელშეკრულება .

• შეყიდვების სამსახური ახორციელებს სხვა სახის სამუშაოებსაც, კერძოდ:

- ✓ შესყიდვების ყველა ტიპის პროცედურისთვის მზადდება დოკუმენტაცია, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივ თვითმმართველობასთან;
- ✓ მზადდება ხელშეკრულებების პროექტები;
- ✓ სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების თანახმად, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია შესყიდვებთან, იტვირთება „შესყიდვების სისტემაში“;
- ✓ მერიის თანამშრომელთათვის ინარმოება შესაბამისი დოკუმენტაცია მათი ტელეფონის ნომრების კორპორაციულ ქსელში (მაგთიკომი) ჩასართავად;
- ✓ მუნიციპალიტეტის ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, ტარდება საკონსულტაციო მომსახურებები;

ორგანიზაციის სამუშაოების გასაუმჯობესებლად, აუცილებელია მერიის ყველა სამსახურისა და შესყიდვების სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობა. ამასთანავე, საჭიროა მერიის ყველა მოქმედი სფეროდან, შესყიდვების სამსახურისთვის დროული და ხარისხიანი, შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდება.

2018 წლის განმავლობაში გამოცხადებულია 70 ტენდერი, აქედან არ შედგა 10 ტენდერი

შვიდი ტენდერი გამოცხადებულია რეგ. ფონდის დაფინანსებით, საერთო ღირებულებით: 3 110 620 ლარი, კერძოდ: 2955089 ლარი რეგიონალური ფონდი და 155531 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი:

1. ქ. ახალქალაქში ქუჩების რეაბილიტაცია 740740 ლარი.
2. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. არაგვის სათხილამურო ბაზიდან სოფ. გომანამდე მისასვლელი გზა 1029290 ლარი.
3. სოფელი ტურცხისა და ლომატურცხის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 121818 ლარი.
4. გარე განათების მოწყობილობების მონტაჟი 309800 ლარი.
5. სოფელი სულდის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია (სოფლის სახლი, ბავშვთა გასართობი ცენტრი), სოფელი ვარევანის კლუბის რეაბილიტაცია (ახალგაზრდული ცენტრი))- 139561 ლარი;
6. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი ბურნაშეთის რიტუალების სახლის რემონტი, სოფ. აზავრეთის საბავშვო ბაღის რემონტი, სოფელი ბარალეთის საბავშვო ბაღის რემონტი -208846 ლარი;
7. ყოფილი მე-15 სამხედრო ქალაქის მრავალბინიანი კორპუსის ეზოს მოასფალტება და სოფელი ვაჩიანის საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზისა და საცალფეხო ბილიკის მოასფალტება-547193 ლარი;

ერთი ტენდერი გამოცხადებულია-მთის პროექტის ფარგლებში:

- საბავშვო ბაღების მშენებლობა(სოფ. ჩუნჩხაში საბავშვო ბაღის მშენებლობა)- 246800 ლარი;

ადგილობრივი ბიუჯეტიდან:

ინფრასტრუქტურული ტენდერი- ხელშეკრულება დადებულია:

1. კანალიზაციის მშენებლობა (ქ. ახალქალაქის საკანალიზაციო ჭების რეაბილიტაცია) -13141,66 ლარი.
2. გზის შეკეთების სამუშაოები (ქ. ახალქალაქის ქუჩების დაზიანებული ა/ბეტონის საფარის შეკეთება)-300000,00 ლარი.
3. შენობის დასრულების სამუშაოები(ქ.ახალქალაქში მომავლის სახლისა და სპორტული სკოლის შენობის რეაბილიტაცია)-15485,00 ლარი.
4. გრუნტის გატანის სამუშაოები (სოფ. დადემში არსებული წყალსაცავის რეაბილიტაცია)-7786,82 ლარი.
5. წყლის გამანაწილებელ მილსადენთან დაკავშირებული სამუშაოები(ქ. ახალქალაქის წმ. ნინოს ქუჩაზე ახალი წყალსადენის გაყვანა, სოფ. აფნიის საჯარო სკოლის სასმელი წყლის წყალსადენის მოწყობა, სოფ.დადემში სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია, სოფ. ბუზავეთში სასმელი წყლის წყალსადენის რემონტის დასრულება, სოფ.ბავრის სასმელი წყლის წყალსადენის

რეაბილიტაცია, სოფ. აბულის სასმელი წყლის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია, სოფ. იხტილაში და სოფ. მერენიაში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია).-64523,58 ლარი.

6. „კონსტრუქციების მშენებლობა (ქ. ახალქალაქში ე.წ. „ ტაშვანკის“ ტერიტორიაზე 5 ცალი (4 ც-10მ+ 1 ც- 5მ) ფანჩატურის მოწყობა)“-32745,00 ლარი.
7. 45233142- გზის შეკეთების სამუშაოები (სასოფლო გზების მოსწორებისათვის)-104942,00 ლარი.
8. გზის მოასფალტება (1. ქ. ახალქალაქის აშუღ ჰავასი შესახვევის მოასფალტება (აშუღ ჰავასი ქუჩიდან თელმანის ქუჩამდე 134მ) , 2. ქ.ახალქალაქის თელმანის 1-ლი შესახვევის მოასფალტება (თელმანის ქუჩიდან მიქოიანის ქუჩამდე 95 მ), 3. ქ. ახალქალაქის მიქოიანის მეორე შესახვევის მოასფალტება (მიქოიანის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე 105 მ), 4. ქ.ახალქალაქის ნაზარეთიანის ქუჩის გაგრძელება უკმერსკის ქუჩამდე მოასფალტება (84მ), 5. ქ.ახალქალაქის ა. მარქარიანის ქუჩის მოასფალტება (მარქარიანის ქუჩიდან ნაზარეთიანის ქუჩამდე 176მ), 6. ქ.ახალქალაქის მე-2 შესახვევის მოასფალტება (172,)))-412693,00ლარი.
9. სოფ. ბარალეთი- სოფ. კოჩიო გზის მოასფალტება-974999,84ლარი.
- 10.სასაფლაოს მისასვლელი გზის მოასფალტება-403804,00 ლარი.
- 11.გზის მშენებლობა (ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ხანდოდან ახალციხე- ახალქალაქი გზამდე გზის რეაბილიტაცია)-28979,00 ლარი.
- 12.სოფელ დიდი სამსარის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია-51222,00 ლარი.
- 13.სოფ.აზმანის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია-117777,00 ლარი.
- 14.სოფ. ბარალეთი-სოფ. იხტილა გზის მოასფალტება-954060,00ლარი.
- 15.6 სოფელში სარწყავი წყლისა და პირუტყვისათვის სასმელი წყლის წყალსაცავების განმენდა-41618,00ლარი.
- 16.საბავშვო ბაღების მშენებლობა(სოფ.კულიკამში საბავშვო ბაღის მშენებლობა)-170186,00ლარი.
- 17.წყლის გამანაწილებელი მილსადენთან დაკავშირებული სამუშაოები (სოფ. ვაჩიანის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია).-11999,00ლარი.
18. წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები (სოფ. ოკამში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის დასრულება)-17192,60 ლარი.
- 19.ქ.ახალქალაქის სოფ. კარნახის საბავშვო ბაღის გათბობის სისტემის საქვების მონტაჟი-13097,74 ლარი.
- 20.37535000-კარუსელები, საქანელები, ტირები და სხვა ატრაქციონები-4490,00 ლარი.

ინფრასტრუქტურული ტენდერი- ტენდერი გამოცხადებულია

1. კანალიზაციის მშენებლობაზე (დახურული საცურაო აუზის კომპლექსის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია) - 3193.00 ლარი;

2. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. კარტიკამის საბავშვო ბაღის რემონტი- 11760,00 ლარი;

3. გზების დახაზვა და საგზაო ნიშნების დაყენება (ქ. ახალქალაქში ქუჩების დახაზვის სამუშაოები და საგზაო ნიშნების(N 3.1-5ც, N 3.27-4 ც, N 3.18-3ც, N 3.18.2-3ც, N 2.4.-2 ც) დაყენება . ქ. ახალქალაქში ქუჩების დახაზვის სამუშაოები და საგზაო ნიშნების(N 3.1-5ც, N 3.27-4 ც, N 3.18-3ც, N 3.18.2-3ც, N 2.4.-2 ც) დაყენება.-20000ლარი.

4. გადახურვისა და სხვა სპეციალური სამშენებლო სამუშაოები (ქ. ახალქალაქის მე-14 ყოფილი სამხედრო ქალაქი N 1 მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია; ქ.ახალქალაქის 1-ლი ყოფილი სამხედრო ქალაქი N 373 მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია; ქ. ახალქალაქის დ. აღმაშენებლის ქ N 1 მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია ;) - 90000 ლარი .

5. „ ქ. ახალქალაქში ნალბანდიანის ქ. N 74 -ში მდებარე სახლის ფასადური კედლის (ღობის) რეკონსტრუქცია „-2570 ლარი .

სხვადასხვა ტენდერები

1. 90620000-თოვლისაგან განმენდა -80001,00ლ.
2. 60100000- საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები-37600,70 ლ.
3. 79961200- საპაერო ფოტომომსახურება და 79971200- წიგნის აკინძვა-3813,00ლ.
4. 98380000- ძაღლების თავშესაფრების მომსახურება- 25423,00ლ.
5. 39112000-სკამები და 39121200- მაგიდები 15021,40 ლ.
6. 39100000-ავეჯი -6399,14 ლ.
7. 55243000-საბავშვო ბანაკების მომსახურება-23330,00 ლ.
8. 39112000-სკამები-7268,80ლ.
9. 37400000-სპორტული საქონელი და აღჭურვილობა -(ინვენტარი)-19579 ლ.
- 10.72413000- მსოფლიო ქსელის (WWW) გვერდის შექმნა-899,00ლ.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ტურიზმის განვითარებისა და გენდერული თანასწორობის სამსახური

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში:

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 6 სრული და 5 ალტერნატიული საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 899 ბავშვი - კერძოდ:

№1 საბავშვო ბაღი - 113 ბავშვი;

№2 საბავშვო ბაღი - 216 ბავშვი;

№3 საბავშვო ბაღი - 180 ბავშვი;

№4 სოფელ დილისკის საბავშვო ბაღი - 72 ბავშვი;

№5 სოფელ ვაჩიანის საბავშვო ბაღი - 93 ბავშვი;

№6 სოფელ ბარაღეთის საბავშვო ბაღი - 59 ბავშვი;

სოფელ აზავრეთის ალტერნატიული საბავშვო ბაღი -32 ბავშვი;

სოფელ კოთელიის ალტერნატიული საბავშვო ბაღი - 26 ბავშვი;

სოფელ ხანდოს ალტერნატიული საბავშვო ბაღი - 46 ბავშვი;

სოფელ კულიკამის ალტერნატიული საბავშვო ბაღი - 13 ბავშვი;

სოფელ კარტიკამის ალტერნატიული საბავშვო ბაღი - 49 ბავშვი;

ეტაპობრივად მიმდინარეობს არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, ხოლო 2019-2020 წლებში იგეგმება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია:

სოფ. გოგაშენის საბავშვო ბაღის მშენებლობა - პროექტის ღირებულება - 250000 ლარი, (დაგეგმილი) პროექტის განხორციელების პერიოდი : ივლისი- ოქტომბერი 2019 წელი;

სოფ. კარტიკამის საბავშვო ბაღის მშენებლობა - პროექტის ღირებულება -250000 ლარი, (დაგეგმილი) პროექტის განხორციელების პერიოდი : მაისი - ოქტომბერი 2019 წელი;

სოფ. კოჩიოს საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოების დასრულება - პროექტის ღირებულება - 15864 ლარი, (დაგეგმილი) პროექტის განხორციელების პერიოდი : მაისი- ივლისი 2019 წელი;

სოფ. ოკამის საბავშვო ბაღის მშენებლობა - პროექტის ღირებულება - 125000 ლარი, (დაგეგმილი) პროექტის განხორციელების პერიოდი : აპრილი- ივლისი 2020 წელი;

სოფ. მაჭატიის საბავშვო ბაღის მშენებლობა - პროექტის ღირებულება - 280000 ლარი, (დაგეგმილი) პროექტის განხორციელების პერიოდი : აპრილი- ივლისი 2020 წელი;

სოფ. იხტილას საბავშვო ბაღის მშენებლობა - პროექტის ღირებულება - 250000 ლარი, (დაგეგმილი) პროექტის განხორციელების პერიოდი : მაისი- ივლისი 2021 წელი;

საბავშვო ბალებში სისტემატურად ტარდება საახალწლო, სააღდგომო, საგაზაფხულო, საშემოდგომო და სხვა ღონისძიებები.

სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები: რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (კრივი, კინგბოქსი, კარატე, სათხილამურო სპორტი, მაგიდის ჩოგბურთი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას:

1. ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა თხილამურებით სრიალში, ღონისძიების ჩასატარებლად გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 750 ლარს.
2. ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, ღონისძიების ჩასატარებლად გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 500 ლარს.
3. ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ღონისძიების ჩასატარებლად გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 500 ლარს.
4. ჩატარდა ღია პირველობა კარატეში - მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა ასევე სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულმა სპორტსმენებმა, გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და მედლებით;
5. რაგბის რეგიონალური ფესტივალი-ახალქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა რაგბის რეგიონალური ფესტივალი, სადაც მონაწილეობდნენ რეგიონში მოქმედი სარაგბო გუნდები.
6. ჩატარდა ამხანაგური პირველობა მინი-ფეხბურთში, მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ახალგაზრდულმა გუნდებმა.
7. საზაფხულო საბავშვო ბანაკი - ამირანის გორის ტერიტორიაზე მოწყო საზაფხულო საბავშვო ბანაკი, სადაც ახალგაზრდებს სთავაზობენ დასასვენებელ-შემეცნებით საზაფხულო პროგრამას, რომელიც დაფინანსდა 30 000 ლარით;
8. ირანში ჩატარდა 50-ე ყველა-სომხური შეჯიბრებები- მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა სპორტსმენებმა;
9. ევროპის სპორტის კვირეული - შეჯიბრებები ჩატარდა სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთში, მკლავჭიდში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, კრივში, კარატეში, ცურვასა და სირბილში. გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და მედლებით.
10. ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის მე-2 ლიგის თამაშები ფეხბურთში.
11. ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა კრივში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა სპორტსმენებმა, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებითა და დიპლომებით. ღონისძიების ჩასატარებლად გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 1000 ლარს.
12. დაბა ასპინძაში გაიმართა რაგბის ფესტივალი, ფესტივალზე მონაწილეობდნენ ახალქალაქის სარაგბო გუნდები.
13. ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2018-ის რეგიონალური და ფინალური თამაშები;
14. ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019-ის მუნიციპალური თამაშები;
15. ჩატარდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ფეხბურთში. ღონისძიების ჩასატარებლად გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 2000 ლარს.
16. ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში, ღონისძიების ჩასატარებლად გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 750 ლარს.
17. ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში, ღონისძიების ჩასატარებლად გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 1000 ლარს.
18. ჩატარდა მუნიციპალიტეტის ტურნირი კარატეში, ღონისძიების ჩასატარებლად გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 1000 ლარს.
19. ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში. ღონისძიების ჩასატარებლად გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 500 ლარს.
20. ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ცურვაში, ღონისძიების ჩასატარებლად გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 500 ლარს.

21. ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა რაგბიში, ღონისძიების ჩასატარებლად გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 500 ლარს.

ტრადიციული და სადღესასწაულო საგანმანათლებლო - კულტურული ღონისძიებები:

1. ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი "ეტალონის" შესარჩევი ტური. მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებმა, კონკურსის ჩატარება ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტელექტუალური უნარების განვითარებას. დაფინანსდა 3000 ლარით.
2. სხვადასხვა ფესტივალების დაფინანსება - კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება-გაღრმავების, რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ეთნოკულტურის და ტრადიციების შენარჩუნება - განვითარება, მონაწილეთა შემოქმედებითი უნარ - ჩვევების გამვლენის, ტურისტული პოტენციალის ზრდისა და ეკონომიკის განვითარების მიზნით სხვადასხვა ფესტივალებში, მინვევით მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა სამხატვრო კოლექტივებმა, რომელიც წლის განმავლობაში დაფინანსდა 40 000 ლარით.
3. ქ. თბილისში ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი რა?სად?როდის? მეორე ეტაპი, სადაც მონაწილეობდნენ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოთელიის საჯარო სკოლის მოსწავლეები;
4. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით 29 აგვისტოს ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, ღონისძიებაზე მონაწილეობდა ახალგაზრდული ცენტრი PITA ღარიბი ოჯახების დასახმარებლად.
5. დედის დღესთან და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საბავშვო ბალებსა და ა(ა)იპებში ჩატარდა ღონისძიებები.
6. 9 აპრილს ეროვნული ერთიანობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღესთან დაკავშირებით მოხდა დაღუპულთა მემორიალის შემკობა ყვავილებითა და გვირვინით;
7. 24 აპრილი სომეხთა გენოციდის დღე - მოხდა გენოციდის დროს დაღუპულთა მემორიალის შემკობა ყვავილებითა და გვირვინით;
8. 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს პატივი მიეგო მეორე მსოფლიო ომში მონაწილეთა ხსოვნას, ვეტერანებისთვის გაიმართა სადღესასწაულო სადილი. დაფინანსდა 500 ლარით.
9. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ქალაქის პარკში ჩატარდა სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები, სადაც მონაწილეობდნენ ადგილობრივი სპორტსმენები და სამხატვრო კოლექტივები;
10. ჩატარდა ფესტივალი „ჭავჭავთის გაბაფხული“ , მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში მოქმედი სამხატვრო კოლექტივები.
11. სახალხო დღესასწაული „ჯივანობა“ - რომელიც ჩატარდა რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნება-განვითარების მიზნით. დაფინანსდა 5000 ლარით.
12. აშული "თიფილისადმი" მოძღვნილი ღონისძიება დაფინანსდა 500 ლარით.
- 13.1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქალაქის პარკში ჩატარდა საბავშვო -გასართობი ღონისძიებები.
- 14.14 სექტემბერს“ ახალქალაქის დღეს“ ქალაქის პარკსა და ცენტრალურ მოედანზე ჩატარდა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ასევე რეგიონიდან ჩამოსულმა სამხატვრო კოლექტივებმა, მოეწყო როგორც ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ასევე ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოფენა - დაგემოვნება, ჩატარდა ფერების ფესტივალი. დაფინანსდა 4000 ლარით.
15. შშმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 3 დეკემბერს შშმ პირებისთვის ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები;
16. საახალწლოდ მოხდა საუკეთესო სპორტსმენებისა და სამხატვრო კოლექტივების წევრების დაჯილდოვება;
- 17.31 დეკემბერს ჩატარდა საახალწლო კონცერტი, რომელიც დასრულდა ფოიერვერკით.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

1. **ა(ა)იპ ახალქალაქის საკლუბო გაერთიანება:** რომლის შემადგენლობაშიც შედის ახალქალაქის კულტურის სახლი და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული კლუბები, რომლის რაოდენობაც შეადგენს 32 კლუბს, ასევე მომავალი წლიდან იგეგმება კლუბის გახსნა სოფელ ვარევანშიც. კლუბებში მოქმედი სამხატვრო კოლექტივები მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ფესტივალებში.

ახალქალაქის კულტურის სახლში ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები:

- სომხური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჯავახკი“.
- ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი „მურჯი“.
- ქართული თეატრი;
- სომხური თეატრი;
- თოჯინების თეატრი;
- ხალხური ინტრუმენტალური ანსამბლი;
- საესტრადო ანსამბლი;
- საბავშვო თეატრი.
- სულ: 130 მოსწავლე

ა(ა)იპ სააშუალო სკოლა - ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები:

- აშუღის
- დოლი
- ფორტეპიანო
- დუდუკი
- აკორდეონი
- სულ: 26 მოსწავლე

ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანება - ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:

საბიბლიოთეკო გაერთიანების შემადგენლობაში შედის ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკა და 16 სასოფლო ბიბლიოთეკა.

- ლიტერატურის წრე;
- რესტავრაციის წრე.

ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა - ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები:

- ფორტეპიანო
- კლარნეტი
- აკორდეონი
- გიტარა
- სულ: 172 მოსწავლე

ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა - ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:

- ფერწერა
- ნახატი
- დეკორატიული ხელოვნება
- კომპოზიცია
- ხელოვნების ისტორია
- სულ: 35 მოსწავლე

ა(ა)იპ მომავლის სახლი - ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:

- ინგლისური ენა;
- ქართული ენა;
- სომხური ენა;
- სამუსიკო;
- მძივების ქსოვა;
- თოჯინები;
- ქარგვა;

- ხელმარჯვე ოსტატები.
სულ: 110 მოსწავლე
ა(ა) იპ ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი- მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენებში.
ა(ა)იპ ახალქალაქის საჯარო სკოლა - სულ 90 მოსწავლე; მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებზე; ფუნქციონირებს საჯარო სექცია სოფელ დილისკაში სადაც ირიცხება 40 მოსწავლე.
ა(ა)იპ ახალქალაქის დახურული საცურაო აუზი - ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:
 - ცურვა
 - ფიტნესი
მოსწავლეთა საერთო რაოდენობა- 70.
- **ა(ა)იპ ახალქალაქის სპორტული სკოლა - ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:**
 - ფეხბურთი
 - მინი ფეხბურთი
 - მაგიდის ჩოგბურთი
 - რაგბი
 - კარატე
 - ფრენბურთი
 - თავისუფალი სტილით ჭიდაობა
სულ: 180 მოსწავლე
მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.
- **ა(ა)იპ ახალქალაქის სპორტ - კომპლექსი -ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:**
 - კრივი
 - კიკბოქსინგი
 - კარატე
 - კარატე კიოკუშინკაი
 - სათხილამურო სპორტი სოფელ არაგვაში
 - ჭიდაობა
მოსწავლეთა რაოდენობა - 400
ფუნქციონირებს სპორტული სექციები მუნიციპალიტეტის სოფლებში კერძოდ:
სოფელ კარტიკაში კრივის სექცია -50 მოსწავლე;
კარატეს სექცია სოფელ მაჯადიაში - 25 მოსწავლე;
ჭიდაობის სექცია სოფელ დილისკაში - 90 მოსწავლე;
რეგიონულ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ სპორტულ შეჯიბრებებსა და ფესტივალებზე სპორტსმენთა და სამხატვრო კოლექტივების ტრანსპორტირებასა და კვებას უზრუნველყოფს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია: წლის განმავლობაში ტრანსპორტირების თანხა შეადგენს - 37600 ლარს.
კვების თანხა შეადგენს - თითოეულზე 15 ლარს.
სოფელ ბეჟანოს ანსამბლისთვის საცეკვაო ფორმებისა და სოფელ ბავრის საფეხბურთო გუნდისთვის ფორმების შესაძენად გამოყოფილი თანხა შეადგენს 3899,40 ლარს. (შესრულებულია).
მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის (აბული; დიდი სამსარი; იხტილა ბარალეთი, მერენია, დადუმი, კარტიკაში) სპორტული ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი თანხა შეადგენს 19579 ლარს.(შესრულებულია ნაწილობრივ).
მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის გაშუქების მიზნით ფინანსდება საინფორმაციო პროგრამა რათა მოსახლეობა უკეთ გაეცნოს როგორც ადგილობრივ, ასევე ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ მიმდინარე მოვლენებს დაფინანსდა 8434 ლარით.

ზედამხედველობის სამსახური

2018 წლის აპრილის თვიდან 31 დეკემბრამდე ზედამხედველობის სამსახურმა შეასრულა შემდეგი სამუშაოების ზედამხედველობა:

1. რეგიონალური ფონდიდან დაფინანსებული სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა, რომლებიც არის დასრულებული და მიღებულია ექსპლუატაციაში.
 - სოფელ აზავრეთის, სულდის და ბარალეთის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.
 - სოფელ ვარეჯანის კლუბის რეაბილიტაცია და სოფელ ბურნაშეთის რიტუალების სახლის რეაბილიტაცია.
 - ახალქალაქის ქუჩების რეაბილიტაცია (რუსთაველის ჩიხი, დარბინიანის ქუჩა, აღმაშენებლის ქუჩის მე-3 შესახვევი).
 - სოფელ არაგვის სათხილამურო ბაზიდან სოფელ გომანამდე გზის რეაბილიტაცია.
 - ახალქალაქისა და სოფლების გარე განათება (729 საყრდენი).
 - ასევე გათვალისწინებული იყო სოფელ ტურცხ-ლომატურცხის წყალსადენის მშენებლობა. მაგრამ, პროექტის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულება შეწყდა და ხელახლა გამოცხადდა ტენდერი აღნიშნულთან დაკავშირებით.
2. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა, რომლებიც არის დასრულებული და მიღებულია ექსპლუატაციაში:
 - ქ.ახალქალაქის საკანალიზაციო ჭების რეაბილიტაცია.
 - სოფლების გზების გრეიდერით გასწორება.
 - სოფელ ხანდოდან ახალქალაქი-ახალციხე გზის რეაბილიტაცია.
 - ქ.ახალქალაქის გზების მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 - ახალქალაქის ე.წ. „ტავშანკის“ ტერიტორიაზე ფანჩატურების მშენებლობა.
 - სოფელ დადეში, სულდაში, ერინჯაში, ჩამდურაში, ოლავერდსა და გოკიოში არსებული აუზის რეაბილიტაცია.
 - სოფელ დიდ სამსარში, ამბანაში, აფნიაში, ბავრაში, ბუბავეთში, ვაჩიანში, ოკამში, აბულსა და ასევე ქ. ახალქალაქში წმინდა ნინოს ქუჩაზე არსებული სასმელი წყლის მილსადენის რეაბილიტაცია.
 - სოფელ ბურნაშეთის, გომანის, არაგვას, ჩუნჩხისა და ქ. ახალქალაქის რიტუალების სახლის, კლუბებისა და საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია(სტიქიის შედეგად დაზიანებების მიხედვით).
 - ქ.ახალქალაქის ქუჩების რეაბილიტაცია.(მალხასიანის ქ. ნაზარეთიანის ქ., მარგარიანის შესახვევი, თელმანის შესახვევი, აშულ ჰავასის ქუჩის პირველი და მეორე შესახვევი).
 - ახალქალაქის სპორტული სკოლის რეაბილიტაცია, ასევე ახალქალაქის მომავლის სახლის სარემონტო სამუშაოები.
 - სოფელ კარნახის რიტუალების სახლის კოსმეტიკური რემონტი.
 - სოფელ კარნახის, ალათუმანისა და ოკამის წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა.
3. მიმდინარე პროექტების ზედამხედველობა და ინსპექტირება.
 - სოფელ ჩუნჩხასა და სოფელ კულიკამში საბავშვო ბაღის მშენებლობა.
 - სოფელ მერენიაში, იხტილაში, არაგვასა და ხანდოში რიტუალების სახლის რეაბილიტაცია და აგრეთვე სოფელ ბეჟანოს კლუბის რეაბილიტაცია.
 - სოფელ ვაჩიანში გზების რეაბილიტაცია, ასევე ყოფილი მე-15 სამხედრო ქალაქის ეზოს რეაბილიტაცია.
4. ახალქალაქის მთავარ ქუჩებში უკანონოდ დამონტაჟებული რკინის ჯიხურებისა (ე.წ. ვაგონები) და სხვა ნაგებობებისგან გათავისუფლების პროცესში დახმარება.
5. ახალქალაქის ქუჩებში უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის ორგანიზება.
6. საქართველოს „რეკლამის შესახებ“ კანონის თანახმად ქ.ახალქალაქის კერძო სექტორში არასათანადო სარეკლამო ბილბორდების გაუქმება(დემონტაჟი).
7. წარმოდგენილი საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მონიტორინგი
8. სოფელ კარტიკამის საბავშვო ბაღისთვის განხორციელებული სამუშაოების ზედამხედველობა.
9. ქალაქის ცენტრალურ პარკში საბავშვო მოედნის რეაბილიტაციის ზედამხედველობა;
10. სასაფლაოს გზის მოასფალტების ზედამხედველობა;
11. ქ. ახალქალაქი ბორის ლომსაძის ქუჩაზე მემორიალის მოწყობა.
12. საცურაო აუზის კანალიზაციის რეაბილიტაციის ზედამხედველობა
13. სოფელ კოთელიის საბავშვო ბაღში სეპტიკური ავზის (ე.წ. სეპტიკის) მოწყობა;

14. ყოფილი მე-14 სამხედრო ქალაქის მრავალბინიანი კორპუსის, აღმაშენებლის ქუჩა №1 -სა და ყოფილ პირველი სამხედრო ქალაქის კორპუსის სახურავების რეაბილიტაციის ზედამხედველობა;
- 15 სოფელ ოკამის სასმელი წყლის წყალსადენის მოწყობა;
- 16 სოფელ ხულგუმოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;
- 17 სოფელ ვაჩიანის სკოლის წყალმომარაგება;
18. სოფ ბარალეთი - იხტილა, ბარალეთი - კოჩიოს საავტომობილო გზების რეაბილიტაცია;
19. მოსახლეობისგან მიღებული საჩივრებისა და განცხადებების განხილვა.

საფინანსო -საბიუჯეტო სამსახური

I საშემოსავლო ნაწილი

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე 2018 საბიუჯეტო წელს მობილიზებულია 12948,9 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 11833,1 ათასი ლარისა (109,4%), რაც გეგმიურს -1115,8 ათასი ლარით აღემატება.

შემოსავლებიდან გადასახადების სახით მოზიდულია 7625,3 ათასი ლარი ანუ წლიური გეგმის (6970,0 ათას ლარი) 109,4 პროცენტი, აქედან

- საშემოსავლო გადასახადი, ნაცვლად 520,0 ათასი ლარისა შემოსულია 578,9 ათასი ლარი (111,3%)
- საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადი, ნაცვლად 6280,0 ათასი ლარისა შემოსულია 6746,1 ათასი ლარი (107,4%).
- უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადი ნაცვლად 3,0 ათასი ლარისა შემოსულია 2,5 ათასი ლარი (80%).
- ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი, ნაცვლად 2,0 ათას ლარისა შემოსულია 3,4 ათასი ლარი (170%).
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი შემოსულია 95,6 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 82,0 ათასი ლარისა (116,6)
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი შემოსულია 198,8 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 83,0 ათასი ლარისა, (239,5 %).

მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის შემოსავლების საქმეში წილი ეკუთვნის გრანტებს და იგი შეადგენს 3382,7 ათას ლარს ანუ ბიუჯეტის მოცულობის 26,1 პროცენტს, რომლის შემოსულობის მოცულობის გეგმა შესრულდა 98,9 პროცენტით, მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერი 215,0 ათასი ლარი,
- რეგიონალური განვითარების ფონდის ტრანსფერი 2933,2 ათასი ლარი.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 234,5 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით (სხვა შემოსავლები) მოზიდულია 1881,7 ათასი ლარი ანუ გეგმიურის (1333,0) 141,2 პროცენტი, მათ შორის:

- დეპობიტზე დადებული თანხის პროცენტი 594,8 ათასი ლარი (გეგმა 500,0 ათას ლარი), 119 პროცენტი
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 97,0 ათასი ლარი (გეგმა 60,0 ათას ლარი). 161 პროცენტი
- მიწის იჯარიდან შემოსავალმა 125,0 ათასი ლარი შეადგინა ანუ გეგმიურის (110,0 ათას ლარი) 113,6 პროცენტი.
- სანებართვო მოსაკრებელი შემოსულია 4,7 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 6,0 ათასი ლარისა.
- სამხედრო-სავალდებულო მოსაკრებელი 8,4 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 7,0 ათასი

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით მიღებულია 693,5 ათასი ლარი ანუ (400,0 ათას ლარი) გეგმიურის 173,4 პროცენტი.
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის ამოღებულია 44,1 ათასი ლარი ანუ გეგმიურის (30,0 ათას ლარი) 147 პროცენტი.
- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი - 8,1 ათას ლარი;
- შემოსავალი მომსახურების განევიდან - 25,6 ათასი ლარი, ანუ გეგმიურის (20,0 ათას ლარი) 128 პროცენტი.
- ჯარიმები, სანქციები და საურავები მიღებულია 280,5 ათასი ლარი ანუ (200,0 ათას ლარი) გეგმიურის 140,2 პროცენტი.

არაფინანსური აქტევეების გაყიდვის შედეგად ბიუჯეტში შემოსულია 59,2 ათასი ლარი.

2018 წლის 1 იანვარის მდგომარეობით გარდამავალი ნაშთი შეადგენს 4558,2 ათას ლარს;

II საგასავლო ნაწილი:

მუნიციპალიტეტის 2018 წლის საგასავლო ნაწილმა 13644,0 ათასი ლარი შეადგინა, ნაცვლად გეგმიური 16364,2 ათასი ლარისა ანუ 2720,2 ათასი ლარით ნაკლები (83,4%), ხოლო 2017 წლის ფაქტობრივთან შედარებით 2230,0 ათასი ლარით ნაკლები.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში ხარჯებმა 6754,5 ათასი ლარი დაიკავა. მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება 1902,2 ათასი ლარი. აქედან პრემია და დანამატი 125,2 ათასი ლარი.
- საქონელი და მომსახურეობა 750,6 ათასი ლარი. მათ შორის: ოფისის ხარჯები 182,6 ათასი ლარი.
- საშინაო ერთეულებიდან აღებულ ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი 111,9 ათასი ლარი.
- სუბსიდიები 2895,5 ათასი ლარი.
- გრანტები 40,0 ათასი ლარი.
- სოციალური უზრუნველყოფა 688,5 ათასი ლარი.
- სხვა ხარჯები 365,8 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა 6713,8 ათასი ლარი.

ვალდებულებების კლება 175,7 ათასი ლარი.

იურიდიული სამსახური

მერიის იურიდიულ სამსახურში დასაქმებულია 3 (სამი) საჯარო მოხელე: სამსახურის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი განყოფილების ხელმძღვანელი, მე-III რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და მე-III რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ხოლო მე-IV რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა არის ვაკანტური.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური არის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მერიის სამართლებრივ მომსახურებას, მერიის ინტერესების დაცვას ყველა ინსტანციის სასამართლოში, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას; სამსახურში შემოსული განცხადებების, წერილებისა და მომართვების განხილვას; მერის და სტრუქტურული ერთეულების იურიდიულ კონსულტირებას და სამართლებრივი დასკვნის მომზადებას, მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზასა და მათ ვიზირებას. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული

იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას; ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვის და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას, მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრასა და პრევენციას.

მერიის ინტერესების დაცვა ყველა ინსტანციის სასამართლოში:

მერიის იურიდიულ სამსახურში 2018 წლის განმავლობაში შემოსული იქნა 11 ადმინისტრაციული სარჩელი. აღნიშნულ სარჩელებზე სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი შესაგებლები და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადებში წარდგენილ იქნა სასამართლოში.

აღნიშნული საქმეებიდან 6 საქმეზე მიღებულია სასამართლო გადაწყვეტილება, ხოლო 5 საქმეზე მიმდინარეობს სასამართლო წარმოება.

სამსახურში შემოსული განცხადებები, წერილები და საჩივრები:

სამსახურში 2018 წელს შემოსული განცხადებების, წერილებისა და ადმინისტრაციული საჩივრების საერთო რაოდენობა შეადგენს 222-ს.

ყველა აღნიშნულ კორესპონდენციაზე სამსახურის მიერ კანონით დადგენილი წესით და ვადაში ჩატარებულ იქნა შესაბამისი წარმოება და გაეცა სათანადო პასუხები.

სამსახურის მიერ 2018 წელს მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტები:

მერიის იურიდიული სამსახურის მიერ 2018 წელს მომზადდა და საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინა მერიისა და მერიის ყველა სამსახურების დებულებების პროექტები.

სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა მერიის მიერ დაფუძნებული ა.ა.ი.პ-ების ახალი დებულებების პროექტები და დასამტკიცებლად წარედგინა მერს.

სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა “მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ” საკრებულოს დადგენილების პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინა საკრებულოს.

სამსახურის მერი შემუშავებულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შესახებ პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინა საკრებულოს.

იურიდიული სამსახურის საჯარო მოხელეები ასევე აქტიურად არიან ჩართულნი მერის მიერ შექმნილ სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში.

მერიის იურიდიული სამსახური ახორციელებს ასევე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირების სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცესს, რაც **არ შედის სამსახურის მოვალეობაში და წარმოდგენს სამსახურის მიერ შესრულებულ დამატებით სამუშაოს.**

2018 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით სამსახურის მიერ რეგისტრირებულ იქნა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირების სტატუსის მინიჭების შესახებ **950** განცხადება, აქედან დადებითად დასრულებულია **790** განცხადება.

სამსახურის მიერ აღნიშნულ პერიოდში გაცემულია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირების სტატუსის შესახებ **1176** ცნობა.

რეესტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეწყვეტილია **381** მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსი, მონიტორინგის საფუძველზე კი **12**.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2018 წელს განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

2018 წლის 14 აგვისტოს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა დაამტკიცა შემოწმების წლიური გეგმა, რის საფუძველზეც შემოწმებულ იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები:

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური

უზრუნველყოფის განყოფილება;

ახალქალაქის სერვისცენტრი;

მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახური;

ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“;

მერიის შესყიდვების სამსახური;

ასევე გვექონდა 3 დისციპლინური წარმოება:

1. ზაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბალხოს მე-4 რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ავეტიქ მელქონიანის მიმართ, რომელიც სისტემატიურად არღვევდა ეთიკის ნორმებსა და არ ასრულებდა უშუალო ხელმძღვანელის დავალებებს. კანონის თანახმად მან მიიღო გაფრთხილება.

2. სოფელ მაჭათის მე-4 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სურიკ ოვაკანიანის მიერ იყო ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა, რომელიც არ ასრულებდა უშუალო ხელმძღვანელის დავალებებს და სისტემატიურად არღვევდა ეთიკის ნორმებს. მიუხედავად იმისა, რომ მას უკვე ჰქონდა მიღებული

გაფრთხილება, ამის გამო იგი გათავისუფლდა სამსახურიდან;

3. ოკამის ადმინისტრაციული ერთეულის მე-4 რანგის მე-3 კატეგორიის უმცროსმა სპეციალისტმა თეიმურაზ მალრადემ პასუხისმგებლობის ბოძად მიიღო გაფრთხილება.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური უწევდა კონსულტაციებს მერიას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს და პასუხობდა მათგან მიღებულ განცხადებებს, საჭიროების შემთხვევაში ახდენდა შესაბამის რეაგირებას.